პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 234 (5264)

1974 წ. 26 ნოემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჭიდაობას რა უნდა...

## საქართველოს ნაკრები II ადგილზეა

ჟდანოვი, 24 ნოემბერი. მეტალურგიული ქარხანა „აზოვსტალის" მანეჟი სამი დღის განმავლობაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა განკარგულებაში იყო. აქ ერთდროულად ოთხ ხალიჩაზე მიმდინარეობდა საკავშირო თასის შერკინებები. სარბიელზე გამოვიდა რვა გუნდი. თითოეულ კოლექტივში იყო ათი უფროსი სპორტსმენი და ათი იუნიორი.

ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ორმა კოლექტივმა — რსფსრ-ს და საქართველოს გუნდებმა. მათ ყველა მატჩი წარმატებით ჩაატარეს და ბოლოს ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა რსფსრ-ს გუნდმა — 49:27. III ადგილზე გავიდა უკრაინის ნაკრები.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ფავორიტებს წინასწარ მატჩებში არ გასჭირვებიათ. თუმცა რუსეთის მოჭიდავეებმა დიდი უპირატესობით მოუგეს აზერბაიჯანის წარმომადგენლებს (61:15), მაგრამ ზოგიერთ შეხვედრაში ტიტულიანი ჩემპიონები შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ქვემძიმე წონაში რუსეთის ფედერაციის ნაკრების ერთ-ერთ ფავორიტს, ოლიმპიურ ჩემპიონ ი. იარიგინს მთელი შერკინების მანძილზე ცუდად ჰქონდა საქმე აზერბაიჯანის გუნდის წევრ თ. ბენდიაშვილთან. ამ უკანასკნელმა პირველი პერიოდი დამაჯერებლად მოიგო (5:2), ხოლო მსაჯის საფინალო სასტვენამდე 10 წამით ადრე ოლიმპიური ჩემპიონი 3 ქულით იყო უკან (9:12). მხოლოდ დიდმა გამოცდილებამ მისცა საშუალება იარიგინს, რომ შეხვედრა წმინდად მოეგო. ეს მოხდა შერკინების ბოლო წამებზე.

იარიგინის შეხვედრა თბილისელ ლ. თედიაშვილთან (90 კგ-მდე) დამთავრდა... ორმხრივი მარცხით. მსაჯებმა ორივე მოჭიდავე მოხსნეს შეჯიბრებიდან პასიურობისთვის. თბილისელმა ნ. მოდებაძემ სამი გაფრთხილება მიიღო პასიურობისთვის და უბრძოლველად წააგო ორჯონიკიძელ ს. ანდიევთან.

ეს, მაგალითი იმისა, თუ რაოდენ შეუპოვარ მეტოქეობას უწევდნენ ახალგაზრდები ცნობილ ოსტატებს. 52 კგ წონის კატეგორიაში მოსკოველებს საქართველოს ნაკრებთან გამარჯვება ჰქონდათ დაგეგმილი. მართლაც, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ახალგაზრდა ა. სულაქველიძე სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდავეს რ. დმიტრიევს, მაგრამ შერკინება ფრედ დამთავრდა.

საერთოდ, მოსკოვის ათლეტებთან შეხვედრაში თავი გამოიჩინეს საქართველოს იუნიორებმა. უფროსები დამარცხდნენ ანგარიშით 13:19, მაგრამ იუნიორებმა მდგომარეობა გამოასწორეს (25:15) და საბოლოო ჯამში თავიანთს კოლექტივს წარმატება მოუტანეს — 38:34.

მოსკოვის ნაკრები IV ადგილზეა.

## წარმატება თავისუფლების კუნძულზე

სანტა-კლარაში (კუბა) ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების ძიუდოისტთა ტურნირი „მეგობრობა". შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კუბის, სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, გდრ-ის, მონგოლეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭიდავეები. ყოველ ქვეყანას გამოჰყავდა ორი გუნდი: ერთი იუნიორებისა და ერთიც ჭაბუკებისა.

საბჭოთა ძიუდოისტებმა დამაჯერებლად მოიგეს გუნდური პირველობა.

ჭაბუკთა კოლექტივი წარმოდგენილი იყო ოთხი სპორტსმენით. ელექტროსტალელმა ვ. ბუდნიკმა (საშუალო წონა) და ალმაათელმა მ. აზიმბაევმა (ქვემძიმე) ოქროს მედლები დაისაკუთრეს. მოლდაველ ი. კოვურლუიანს ბრინჯაოს ჯილდო ერგო, ხოლო ჩელიაბინსკელი ს. ლებედევი V ადგილზე გავიდა.

ასევე წარმატებით იასპარეზეს იუნიორებმა. ოქროს მედლები ხვდათ ჩერკასკის პედინსტიტუტის სტუდენტს ს. სინკოვსკის (მსუბუქი) და მოსკოველ მ. გრიფს (მძიმე). ვერცხლის მედლები მოიპოვეს საქართველოს ძიუდოისტებმა გ. იობიძემ და ო. ყურაშვილმა, ხოლო ბრინჯაოსი — გ. ზორკოვმა.

## თასი შეინარჩუნეს

ბარნაული, 24 ნოემბერი. სამბისტთა საკავშირო გუნდური თასის გათამაშებაში 13 კოლექტივი მონაწილეობდა, მაგრამ საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლაში ყველას, რა თქმა უნდა, ერთნაირი შანსი არ ჰქონდა. ფავორიტად ითვლებოდა შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული რუსეთის ფედერაციის ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. რუსეთის სამბისტებს მრისხანე მეტოქეები ჰყავდათ მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს ათლეტთა სახით.

სხვათა შორის, წინასწარმა შეხვედრებმა ქვეჯგუფებში (სულ ოთხი ასეთი ქვეჯგუფი იყო) ამ პროგნოზების სისწორე ცხადყო. ოთხივე პრეტენდენტმა დამაჯერებლად მოიგო ჯგუფური ტურნირები. საქართველოს სამბისტებმა ჯერ სომხეთის წარმომადგენლებს სძლიეს (8:2), მერე კი უზბეკეთის ნაკრებს მოუგეს — 6:3. დაძაბული აღმოჩნდა II ქვეჯგუფის ფავორიტების ლენინგრადისა და უკრაინის გუნდების შეხვედრა. უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 5:5. მსაჯთა კოლეგიას წმინდა მოგებების დათვლა მოუხდა. აქ კი ლენინგრადელებს უკეთ ჰქონდათ საქმე და ფინალშიც ისინი გავიდნენ.

გადამწყვეტი მატჩი, რომელმაც გამოავლინა თასის წლევანდელი მფლობელი, გაიმართა რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის სამბისტებს შორის. გაიმარჯვეს რუსეთის მოჭიდავეებმა — 8:2.

III საპრიზო ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადისა და საქართველოს კოლექტივები. წარმატებას ნევისპირელებმა მიაღწიეს — 6:4.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ტურნირმა ბევრი პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა. ესენი, პირველ ყოვლისა, არიან: რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები ვ. დმიტრიევი და ს. არაქელიანი, ლენინგრადელი მ. კოკორინი, ქართველი სამბისტები ზ. გოგნაძე და მ. დავითაშვილი.

## „ჩრდილოეთის ციალის პრიზზე"

იმიერპოლარეთის ფლრუბლო ცა ჩრდილოეთის ციალმა დაიპყრო. „ჩრდილოეთის ციალის პრიზი" ჰქვია ჯილდოსაც, რომლისთვისაც მურმანსკის სპორტის სასახლეში იბრძოდნენ რუსეთის ფედერაციის კლასიკური სტილის მოჭიდავეები.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მურმანსკის, ლენინგრადის, ვოლოგდის, ვორონეჟისა და კიროვის ოლქების, კომის ავტონომიური რესპუბლიკის, აგრეთვე, აზერბაიჯანის წარმომადგენლები. მონაწილეთა შემადგენლობა ძლიერი იყო: 10 სპორტის ოსტატი, 14 ოსტატობის კანდიდატი, 68 პირველთანრიგოსანი. გაიმარჯვა მურმანსკის ოლქის პირველმა გუნდმა. II ადგილზე არიან კიროვის ოლქის მოჭიდავეები. III ადგილი იმიერპოლარეთის წარმომადგენლებს ხვდათ.

გადაწყდა, რომ შეჯიბრება „ჩრდილოეთის ციალის პრიზზე" ტრადიციად იქცეს.

მურმანსკი.

## ცისფერი ეკრანის... ჩემპიონი

სოფია, 25 ნოემბერი. (საკდესი). მხატვრულ ტანვარჯიშში ინტერვიზიის თასის პირველმა მფლობელმა, ცნობილმა ბულგარელმა სპორტსმენმა კ. ფილიპოვამ შვიდი წლის შემდეგ კვლავ გაიმეორა ეს წარმატება. იგი პირველი იყო მრავალჭიდში (29,3 ქულა) და ცალკეულ სახეობებში — სალტით (9,75), ბურთით (9,8) და ლენტით (9,75) ვარჯიშში.

სოფიაში გამართულ შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ, სტავროპოლელმა სტუდენტმა ნ. კრაშენინიკოვამ, რომელიც გამარჯვებულს 0,15 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ი. ზაგრადკოვა — 27,8.

იუნიორთა შორის გამარჯვება იზეიმეს მინსკელმა მოსწავლემ ო. რაბინოვიჩმა და ბულგარელმა ვ. კირილოვამ. მათ 18,9-18,9 ქულა დააგროვეს.

თასისთვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები.

## სპორტს — მეცნიერების ყურადღება

სპორტი ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ეს სოციალური მოვლენა მეცნიერების შესწავლის საგანი გახდა. ამ აზრს გაუსვა ხაზი 25 ნოემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფიზიკური აღზრდის საერთაშორისო კავშირის (სიეპს-ი) პრეზიდენტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ფ. ნოელ-ბეიკერმა (ინგლისი). პრეს-კონფერენცია კი მიეძღვნა მსოფლიო კონგრესს თემაზე — „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში", რომელიც 26 ნოემბერს გაიხსნება მოსკოვში.

ფ. ნოელ-ბეიკერმა თქვა, რომ მოსკოვი — დედაქალაქი სახელმწიფოსი, რომელიც თავისი მოქალაქეების ფიზიკურ აღზრდას უდიდეს ყურადღებას უთმობს, ამ ფორუმის ყველაზე შესაფერისი ადგილია. მოსკოვისთვის 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლების მინიჭება ხელს შეუწყობს მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას და ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის კიდევ უფრო გაძლიერებას, — დაასკვნა პრეზიდენტმა.

კონგრესი კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნება და იქ ხუთ დღეს გასტანს. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კოვალმა გვაცნობა, რომ მოსკოვში ჩამოვა ათასზე მეტი მეცნიერი, რომლებიც სპორტის პრობლემებზე მუშაობენ. ესენი იქნებიან ხუთივე კონტინენტის 45 ქვეყნის წარმომადგენლები.

კონგრესის მონაწილენი 400-მდე მოხსენებას მოისმენენ. შედგება პლენარული სხდომები. სპორტის სოციოლოგიისა და ისტორიის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ბიოლოგიისა და მედიცინის საკითხებზე დისპუტები 21 სექციაში გაიმართება.

28 ნოემბერს მოსკოვში სიეპს-ის გენერალური ასამბლეა გაიმართება.

(საკდესი).

### ზუგდიდი

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელთა 20 გუნდი მონაწილეობდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს თასის გათამაშებაში. ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმისა და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა. თასი ხვდა ზედა ეწერის გუნდს, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. შეჯიბრებას თავი აარიდეს დიდინეძის, კოკის, კოლხიდის, ურთის, ორსანტიის, ინგირისა და სხვა გუნდებმა.

ქ. ფიფია.

### ვანი

მოეწყო წრიული ესტაფეტა რაიონული ცენტრის ირგვლივ. მონაწილეობდნენ საშუალო სკოლების მძლეოსანთა გუნდები. გაიმარჯვა შუაგორის მოსწავლეთა ნაკრებმა. II ადგილზეა სალხინოს სკოლის კოლექტივი. III ადგილი დაიკავეს ისრითელმა სპორტსმენებმა.

მ. აბრამიძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.



## ნორჩი ტანმოვარჯიშენი კრაკოვში გამოვლენ

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით კრაკოვის სპორტულმა საზოგადოებამ „ვისლამ" ტანვარჯიშულ სამატჩო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის გოგონათა ნაკრები გუნდი. მის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები ქანა ბიჭიკაშვილი და თამარ ლაფერაშვილი, სპორტის ოსტატები მარინე აბულაძე, საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ლია კილასონია, ლამარა ნავროზაშვილი, ნონა სულაქველიძე და ლია შარიქაძე.

დელეგაციის წევრებში ყველაზე უმცროსია 13 წლის ნ. სულაქველიძე, ყველაზე უფროსი — 16 წლის ლ. შარიქაძე. ყველა გოგონა სპორტის ოსტატის პროგრამით იასპარეზებს.

გუნდის უფროსია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მაჩილოძე, მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი.

ტანმოვარჯიშეთა დელეგაცია პოლონეთში დღეს გაემგზავრება. გამარჯვება ვუსურვოთ ნორჩ ქართველ სპორტსმენებს.

ც. ფცქიალაძე.

• • •

სურათზე: თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის გოგონათა გუნდი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

# ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# მწვრთნელები იმედოვნებენ

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს იგორ ხუციშვილს სპორტში თავის პროფესიად ტყვიის სროლა აურჩევია და ამ ხახეობაში მინდობილ ყველა დიდ თუ პატარა დავალებას გულისხმიერებით, სიყვარულით ეკიდება. მის მუშაობას წუნს ვერ დასდებთ. რა მასშტაბის შეჯიბრებაც უნდა ტარდებოდეს, რაგინდ ბევრი სპორტსმენიც უნდა გამოდიოდეს, იგორი თავის საქმეს ასწრებს — სამდივნოდან, რომელსაც ის უძღვება ხოლმე, მსაჯები, სპორტსმენები და კორესპონდენტები მუდამ დროულად ღებულობენ ამომწურავ ცნობებს.

ხუციშვილის დამსახურებაც არის, რომ ამას წინათ ოლიმპიურ ვარჯიშებში ავჭალის სასროლეთზე გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების წევრებმა (ამ გუნდმა ვაისად 7-12 ივლისს მინსკში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში უნდა იასპარეზოს), საიმედო შედეგები მოიპოვეს. სამდივნოს მოწესრიგებული მუშაობა, კარგად შედგენილი ოქმები, შედეგების დროულად გამოთვლა და გამოცხადება გუნდებსა და სპორტსმენებს მაღალი მაჩვენებლების მოპოვებაში ეხმარება.

საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრების ლიდერები წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებებში კარგად გამოვიდნენ და არც საქართველოს ჩემპიონატში შეურცხვენიათ თავი. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. ბოსტოღანაშვილმა გვითხრა: ჩვენი მსროლელები საკავშირო სპარტაკიადაშიც ისეთ შედეგებს რომ აჩვენებდნენ, როგორიც რესპუბლიკურ ტურნირში მოიპოვეს, გუნდური საპრიზო ადგილი ჩვენი იქნებათ.

მაგრამ უფროს და სხვა მწვრთნელებთან საუბარში ისიც გამოირკვა, რომ ნაკრების მზადებაში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე როდია. გუნდის წევრთა უმეტესობას ხარისხიანი შაშხანები და პისტოლეტები არა აქვს, მთელ გუნდს აკლია ტყვია-წამალი. კარგი ოსტატის ხელში კი ხარისხიანი იარაღი 5-6 ქულა „ნამატს" იძლევა.

მწვრთნელებმა ისიც თქვეს, რომ მთელს რესპუბლიკაში არ არის ნორმალური ვარჯიშისთვის საჭირო ბაზები, ავჭალის სასროლეთს, რომელიც საქართველოში საუკეთესოდ ითვლება, გასახდელები არა აქვს. ნაკრების კანდიდატებს დღემდე არ მიუღიათ სპორტული ფორმები, რომლის მორგებასა და შერჩევას თვეები სჭირდება, სროლაში კი ყოველ წვრილმანს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში სპორტსმენები ექვს ვარჯიშში იასპარეზებენ, თითოეულ ვარჯიშში 2 კაცის გამოყვანა შეგვიძლია. ჩვენს მსროლელებს ე. აბაჯიანს, ა. შამეკოს, მ. პაპავას, ვ. სალუქვაძეს, გ. თავდიდიშვილს, მ. ჟამურაშვილს, ს. ქუსიკაშვილს, ვ. სერინიკოვსა და სხვებს დიდ სტარტებამდე დარჩენილ შვიდ თვეში, თუ სათანადო ხელშეწყობაც ექნებათ, შეუძლიათ კიდევ უფრო უკეთ მოემზადონ. სწორედ ამ მიზნით უნდა დაჩქარდეს აღნიშნული სასროლეთის რემონტი, აგრეთვე, თბილისის დოსააფის სასროლეთების (ლენინის რაიონსა და დიღომში) გაჭიანურებული მშენებლობა.

რესპუბლიკურ ჩემპიონატში განსაკუთრებით კარგი იყო შედეგები მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრავალ სამიზნეებზე შეჯიბრებაში. ბრძოლა იმდენად დაძაბული იყო, რომ პრიზიორებს ერთმანეთისგან თითო ქულა აშორებდათ. თანაც, სამივემ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, არმიელმა ვ. სალუქვაძემ (554 ქულა), დინამოელმა მ. პაპავამ (553 ქულა) და არმიელმა ა. დილმელაშვილმა (552) სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს. ქუთაისელ თ. მებურიშვილს (დოსააფი) კი, რომელმაც 551 ქულა მოაგროვა, ამ ნორმატივის შესრულებისთვის ქულა არ ეყო.

სპორტული თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესო გამოდგა მცირეკალიბრიანი შაშხანის 60 გასროლა წოლით. თავიდან აბაჯიანი დაწინაურდა. ორქულიან უპირატესობას იგი 40 გასროლის შემდეგაც ინარჩუნებდა, მაგრამ მეხუთე სერიაში მეტოქეებმა ა. შამეკომ და ა. მარუთიანმა უშეცდომოდ ისროლეს, აბაჯიანმა კი ზუსტად 2 ქულა დაკარგა და შანსებიც გათანაბრდა. ახლა ყველაფერი ბოლო ათ გასროლაზე იყო დამოკიდებული. აქ სამივემ ერთნაირი შედეგები მოიპოვა, რის გამოც აბაჯიანი იძულებული გახდა III ადგილს დასჯერებოდა, გამარჯვება კი შამეკოს ხვდა წილად.

ს. ქუსიკაშვილმა „ტახზე" სროლაში სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა. ქების ღირსია სოხუმელი მეათეკლასელი მოსწავლე ა. გოროდიანკინი. ნელა მოძრავ სამიზნეზე სროლაში მან ქუსიკაშვილთან მხოლოდ ქულა წააგო, მაგრამ მერე, როცა სამიზნე უფრო ჩქარა ამოძრავდა, ჭაბუკი ზედმეტად აჩქარდა და სპორტის ოსტატის სახელის მოპოვების საუკეთესო შანსი ხელიდან გაუშვა.

ჩვენი ყურადღება კიდევ ერთმა ვარჯიშმა მიიპყრო. სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის ორ რიგად სროლაში შედარებით გამოცდილ თბილისელ სპორტის ოსტატს მ. ჟამურაშვილს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თანაგუნდელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. ჰუსეინოვმა, რომელმაც თბილისის 77-ე სკოლა წლეულს დაამთავრა. პირველი რიგის ვარჯიშის შემდეგ ჟამურაშვილი (292 ქულა) მეტოქეს 4 ქულას უგებდა, მაგრამ მეორე რიგში ეს უპირატესობა დაკარგა, საბოლოოდ ორივეს 581-581 ქულა დაუგროვდა, რის გამოც მათ შორის სამი ოთხწამიანი დამატებითი სერიის ჩატარება [illegible] აქ კი გამოცდილებამ ახალგაზრდობას აჯობა: ჩემპიონი გახდა ჟამურაშვილი.

ყურადღებას იმსახურებს გ. გეგეშიძეც. იგი ზოგიერთ სერიაში ბრწყინვალედ ისროდა — ქულასაც კი არ კარგავდა, მეორე რიგის ვარჯიშში საუკეთესო შედეგიც მოიპოვა, მაგრამ პირველ რიგში რამდენიმე სერიაში ხელი მოეცარა. თუ სპორტსმენი ამ გაკვეთილიდან სათანადო დასკვნას გამოიტანს, მისგან საუკეთესო ჩუბინი დადგება.

ო. გელაშვილი.

* * *

### ტექნიკური შედეგები

**მცირეკალიბრიანი შაშხანა. 60 გასროლა წოლით.** ა. შამეკო (დოსააფი) — 590 ქულა, ა. მარუთიანი — 590, ე. აბაჯიანი (ორივე — ასკ) — 590; **გუნდური.** ასკ — 1180, დოსააფი — 1178, „დინამო" — 1162. **სტანდარტი (3×40).** აბაჯიანი — 1137, შამეკო — 1134, მარუთიანი — 1131; **გუნდური.** ასკ — 2268, დოსააფი — 2254. **„გაქცეული ტახი".** ს. ქუსიკაშვილი („დინამო") — 555, ა. გოროდიანკინი (დოსააფი) — 543, გ. თავდიდიშვილი (ასკ) — 542; **გუნდური.** დოსააფი — 1176, ასკ — 1174, „დინამო" — 555. **ნებისმიერი შაშხანა. სტანდარტი (3×40).** ლ. ოსტრიკოვი („დინამო") — 1123, გ. პანკოვი (ასკ) — 1118, ვ. ახალაძე („დინამო") — 1115; **გუნდური.** „დინამო" — 2238, ასკ — 1118, დოსააფი — 1109. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. სილუეტებზე სროლა.** მ. ჟამურაშვილი — 581, გ. ჰუსეინოვი (ორივე — დოსააფი) — 581, გ. გეგეშიძე („დინამო") — 578; **გუნდური.** დოსააფი — 1162, ასკ — 1151, „დინამო" — 1148.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ამ თანმიმდევრობით განაწილდა: ასკ, დოსააფი, „დინამო".

# უცნაური III ადგილი

მსაჯთა კოლეგია დიდი ზარ-ზეიმით აჯილდოებდა დედაქალაქის ჩემპიონებსა და პრიზიორებს წყალში ხტომაში. ბოლოს ასპარეზობის მონაწილეებმა სპარტაკიადის ალამიც დაუშვეს და მწყობრი ნაბიჯით გასახდელისკენ გაემართნენ. გზად ჩემპიონები და პრიზიორები უკანვე აბრუნებდნენ... დიპლომებს.

რას ნიშნავდა ყოველივე ეს, ბოიკოტს? მაგრამ ვის მიმართ? არა, წყალში მხტომელებს ბოიკოტი არ გამოუცხადებიათ, უბრალოდ, შეჯიბრების ორგანიზატორებს დიპლომებზე ბეჭდის დასმა დაავიწყდათ.

ამ ამბავს ალბათ არ გავიხსენებდით, პირველი შემთხვევა რომ იყოს.

ისიც ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ წყალში მხტომელთა შეჯიბრების დროს სხვა სახეობათა წარმომადგენლები გარჯიშს არ წყვეტენ. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზი იმდენად გადატვირთულია, რომ სხვა გამოსავალი არ არის — წყალში მხტომელები, მოცურავეები, ხუთჭიდელები და წყალბურთელები იძულებული არიან ასე „შეთავსებულებულად" იცხოვრონ.

ახლა თვით შეჯიბრების შესახებ. ასპარეზობა ნორჩების შეხვედრას უფრო ჰგავდა. 30-მდე მონაწილეში ნახევარზე მეტს 10-12 წლის ბავშვები შეადგენდნენ.

— ჩვენი ყურადღება ახლა მთლიანად ამ ბავშვებზეა გადატანილი, — გვეუბნება საქართველოს ნორჩ წყალში მხტომელთა უფროსი მწვრთნელი ა. ბართაია. — ჯერჯერობით შედეგები სახარბიელო ვერ არის, ბავშვებს განსაკუთრებით კოშკიდან ხტომა უჭირთ. ამიტომაც იყო, რომ გოგონათა შორის ჩემპიონობისთვის ამ სახეობაში მხტოლოდ ორნი იბრძოდნენ. ბიჭები კი, ცხადია, უფრო გაბედულნი არიან და კოშკიდან ხტომაში ყველა მონაწილეობდა. თუმცა საერთო ჯამში მათი შედეგებიც დაბალია.

სამწუხაროდ, თბილისში წყალში ხტომის განვითარებისთვის მხოლოდ „გამთიადი" ზრუნავს. პრიზიორთა შორის ერთადერთი დინამოელია — სპორტის ოსტატი ლარისა ფირანიშვილი. დანარჩენები „გამთიადის" წარმომადგენლები არიან.

ამ შეჯიბრებაში 57 ქულით გამთიადელებმა გაიმარჯვეს. მეორე იყო „დინამო" — 18 ქულა. „ბურევესტნიკის" ორად ორმა წარმომადგენელმა ვერც ერთი ქულა ვერ მიიღო. და მაინც, მათმა კოლექტივმა III ადგილი „მოიპოვა", ვინაიდან ტურნირში სულ სამი გუნდი მონაწილეობდა. საკითხავია როგორ მიაკუთვნეს III ადგილი „ბურევესტნიკს", რომლის არც ერთ წარმომადგენელს ჩათვლა არ მიუღია?

საოცარია ლოკომოტიველთა დამოკიდებულება წყალში ხტომისადმი. მათ ხომ საკუთარი აუზი აქვთ თავისი კოშკითა და ტრამპლინებით. მაშ რატომ არ გამოიყვანეს გუნდი?

ა. გურასაშვილი.

* * *

### ტექნიკური შედეგები

**გოგონები.** ერთმეტრიანი ტრამპლინი. ლ. ფირანიშვილი — 376,40 ქულა, ი. გუტიაკულოვა — 334,33, ნ. ნიკოლაიშვილი — 328,50. **კოშკი.** ფირანიშვილი — 293, ნ. შაფათავა — 260.

**ვაჟები.** ერთმეტრიანი ტრამპლინი. ა. სოლდატოვი — 460,09 ქულა, ა. გორგასლანიძე — 427,37, ს. ვართანოვი — 393,33. **კოშკი.** ვართანოვი — 401, ს. შალიბაშვილი — 381,43, ს. ელბაქიძე — 340,74.







# დიდი ანგარიშით, მაგრამ...

გასულ შაბათს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, მოეწყო საქართველოს და ბელორუსიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის დასკვნითი, IV ტური. კვლავ გაიმარჯვეს ნ. გაფრინდაშვილმა და ნ. ალექსანდრიამ. მსოფლიო ჩემპიონმა მოუგო ტ. ზვორიკინას, ხოლო საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტმა — ტ. კოსტინას.

კიდევ ერთი ქულა მოუტანა საქართველოს გუნდს ა. ბოკუჩავამ, რომელმაც დაამარცხა ა. როიზმანი. საქართველოს ჩემპიონმა ე. უბილავამ წააგო მ. შერეშევსკისთან, ხოლო ა. კაპენგუტ (ბელორუსია) — ა. ტუზოვსკის, ა. იზვოზჩიკოვ — ს. ზეგუნის (ბელორუსია), ზ. მიქაძე — ნ. ცარენკოვის (ბელორუსია) და ლ. ბასინ (ბელორუსია) — გ. ზაიჩიკის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ამგვარად, IV ტური დამთავრდა ჩვენი გუნდის გამარჯვებით — 5:3.

კვირას, III ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრებისას, მოულოდნელი არაფერი მომხდარა. გაფრინდაშვილმა მოუგო ზვორიკინას, ზაიჩიკმა — ბასინს. ცარენკოვი თამაშის განუახლებლად დანებდა ტუზოვსკის. მხოლოდ ბოკუჩავამ წააგო როიზმანთან. III ტურის საბოლოო შედეგია 6:2 საქართველოს მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

გაგახსენებთ, რომ საქართველოს გუნდმა I ტურში გაიმარჯვა ანგარიშით 6,5:2,5, ხოლო II ტურში წააგო — 4:5. საერთო ანგარიშია 21,5:12,5 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ.

ამგვარად, ჩვენ დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კოლექტივის წარმატებაში ძირითადად დამსახურება მიუძღვით მოჭადრაკე ქალებს, რომლებმაც ყველა (8) პარტია მოიგეს. სამ-სამ შეხვედრაში გაიმარჯვეს გაფრინდაშვილმა და ალექსანდრიამ, თითოში — ც. კობაიძემ და თ. ხუგაშვილმა, რომლებმაც გაფრინდაშვილი და ალექსანდრია პირველ ტურში შეცვალეს.

ბევრად უფრო მოკრძალებულია ჩვენი მოჭადრაკე ვაჟების შედეგები. მათ ბელორუსიელი კოლეგები დაამარცხეს მინიმალური ანგარიშით — 13,5:12,5. პირადი შედეგები ასეთია: გურგენიძე 1 ქულა 2 შესაძლებლიდან, გიორგაძე 1 (3), უბილავა — 0,5 (2), იზვოზჩიკოვი — 2 (4), ბოკუჩავა — 2,5 (4), მიქაძე — 1,5 (3), ზაიჩიკი — 2,5 (4), ტუზოვსკი — 1,5 (2), ა. ბუსლაევი — 0,5 (1), დ. ჯანოევი — 0,5 (1).

ვაჟთა შედეგები გვარწმუნებს, რომ მათი საბოლოო შემადგენლობის დაკომპლექტება ჩვენი ნაკრების მწვრთნელებისთვის მთავარ პრობლემად რჩება.

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი, საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

* * *

სურათებზე: ზევით — მატჩის სარბიელი, ქვევით, მარცხნივ — ნ. გაფრინდაშვილი, მარჯვნივ — ნ. ალექსანდრია. მეორე პლანზე — სოხუმელი ოსტატი ა. ტუზოვსკი.

ნ. მღებროვის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისელთა უხეირო სტარტი და ფინიში

წლეულს წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი როგორც უფროსთა, ისე ჭაბუკთა გუნდებს შორის ორ ეტაპად მოეწყო. პირველ წრეში გამართული შეხვედრების მიხედვით გამოვლინდა ექვსეული, რომელიც შემდეგ საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებდა. დანარჩენი კოლექტივები მომდევნო ადგილებს გაითამაშებდნენ. კარგი ხანია წყალბურთის ოსტატებმა, უმაღლესი ლიგის გუნდებმა დაამთავრეს თავიანთი ჩემპიონატი.

სულ ახლახან დამთავრდა ჭაბუკთა გუნდების ასპარეზობაც, რომელიც მოსკოვსა და ტულაში მოეწყო. მოსკოვში თამაშობდნენ პირველი ექვსი ადგილის პრეტენდენტები, დანარჩენ ხუთ კოლექტივს კი ტულა მასპინძლობდა.

თბილისის „დინამომ" პირველ წრეში უხეიროდ ითამაშა და იძულებული გახდა მეორე ჯგუფში ევლდა ძალა. საქართველოს ჭაბუკებმა აქაც ძალიან სუსტად ითამაშეს, წინ გაუშვეს ყველა მეტოქე (ალმა-ათის „დინამო", ვოლგოგრადის „სპარტაკი", მოსკოვის „ტორპედო", ლენინგრადის „ბალტიკა") და ბოლო ადგილზე დარჩნენ.

I ჯგუფის გუნდებში თავიდანვე დაწინაურდნენ მოსკოვის „დინამოს" და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წარმომადგენლები, მათ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და საჭირო გახდა დამატებითი შეხვედრის ჩატარება, რომელიც დამთავრდა ფრედ — 4:4. გამარჯვებულის გამოსავლენად მეტოქეებმა კიდევ ოთხი 5-წუთიანი ტაიმი ითამაშეს. აქ კი დინამოელებმა იმარჯვეს — 5:4. III ადგილი კიევის „დინამოს" ხვდა.

ჩვენი ჭაბუკი დინამოელების შედეგი საგანგაშოა. საქმე ის გახლავთ, რომ ეს კოლექტივი შევსებას უნდა აძლევდეს უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე საქართველოს ერთადერთ წარმომადგენელს — თბილისის „დინამოს". დაგვეთანხმებით, რომ ძნელია საკავშირო ჩემპიონატში ბოლო, XI ადგილზე გასული გუნდის იმედი გვქონდეს. გავახსენებთ, რომ წინა წლებში გამართულ საკავშირო ჩემპიონატებში I ადგილის პრეტენდენტებად მოსკოვისა და თბილისის ჭაბუკთა კოლექტივებს ასახელებდნენ და სწორედ ამ ორი გუნდის შეხვედრა წყვეტდა ჩემპიონობის საკითხს.

**ზ. ჯანდიერი.**

# გუნდურშიც, პირადშიც...

სპორტის ტექნიკურ სახეობებში ზუგდიდის საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში გამართულ შეჯიბრებაში 14 კოლექტივი მონაწილეობდა.

გუნდური გამარჯვება ქალაქის დოსაafის რადიოკლუბის ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილზეა ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გუნდი, III — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს კოლექტივი.

პირადი პირველობა მოიგო ჯ. კურტანიძემ. მან 50 შესაძლებლიდან 42 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა ჯ. არახამია (ორივე — დოსაafის რადიოკლუბი), III — მ. ტომარაძე (საქჩაის სარემონტო მექანიკური კომბინატი).

**ზ. ალშიბაია.**
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## რაიონებში [illegible]

### ჩოხატაური

დამთავრდა „კოლმეურნის" რაიონული პირველობა ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გოგოლესუბნის აგროსნისა და ჩოხატაურის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის გუნდები. წარმატება წილად ხვდათ ჩოხატაურელებს, რომლებმაც მოიპოვეს საპატიო ჯილდო.

**რ. ოსეფაიშვილი.**



## ექვსთა ტურნირი

სოჭში, ხოსტასა და ადლერში გაიმართა იმ 6 გუნდის ტურნირის 11 ტურის მატჩები, რომლებიც I ლიგის 3 საგზურის მოსაპოვებლად იბრძვიან.

განსაკუთრებით დაძაბული იყო ფრუნზეს „ალგას" და გროზნოს „თერეკის" შეხვედრა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ალგამ".

ყარაგანდის „შახტიორმა" დაამარცხა ხარკოვის „მეტალისტი" — 3:1, ხოლო ყაზანის „რუბინმა" აჯობა „იახგიერს" — 4:1.

## პერსპექტიულ ფეხბურთელთა შესარჩევად

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გრძელდება ფეხბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი, რომლის მიზანი პერსპექტიულ მოთამაშეთა შერჩევა გახლავთ.

გათამაშება დიდ ინტერესს იწვევს. მატჩებს ესწრებიან გამოცდილი მწვრთნელები და სპეციალისტები, კერძოდ, თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი და ქუთაისის „ტორპედოს" უფროსი მწვრთნელი ა. ნორაკიძე.

II ტურში დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს გუნდების შეხვედრა „დასავლეთელთა" გამარჯვებით დამთავრდა — 5:1. II ლიგის გუნდების ნაკრებმა ფრედ ითამაშა თბილისის გუნდთან — 1:1.

დღეს გათამაშება დამთავრდება. წინ არის II ლიგის ნაკრები — 3 ქულა. 2-2 ქულა აქვთ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებს, 1 ქულა — თბილისელებს.

# საბჭოთა გუნდები უცხოეთში

დარ-ეს-სალამი, 24 ნოემბერი. მინსკის „დინამომ" ტანზანიაში ტურნე გამარჯვებით დაიწყო: ანგარიშით 1:0 დაამარცხა „სიმბა". მატჩის მიწურულს მასპინძლებმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენეს.

ბერნი, 24 ნოემბერი. შვეიცარიის მუშათა სპორტულმა კლუბმა „სატუსმა", რომელიც თავისი არსებობის 100 წლისთავს აღნიშნავს, იუბილესთან დაკავშირებით დონეცკის „შახტიორი" მიიწვია. სტუმრებმა პირველი მატჩი ბერნის ნაკრებთან გამართეს. თამაში საინტერესო და დაძაბული გამოდგა. შესვენებამდე დონეცკელმა სოკოლოვსკიმ ორჯერ აიღო ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდის კარი, მე-80 წუთზე კი მასპინძლებმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ერთი გოლი გაქვითეს. ამრიგად, გაიმარჯვა „შახტიორმა" — 2:1.

სინგაპური, 24 ნოემბერი. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეორე ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 3:0 სძლია სინგაპურის ნაკრებს. ბურთები გაიტანეს სლობოდიანმა (2) და ჩესნოკოვმა. თამაშს 40 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

## ჩემპიონატები, შედეგები, ლიდერები

### ინგლისი

შაბათს ჩემპიონატის მორიგ, XIX ტურში „მანჩესტერ სიტიმ", რომელიც წინა ტურში ანგარიშით 0:4 დამარცხდა „ბირმინგემ სიტისთან", შინ შეუდარებლად ითამაშა „ლესტერ სიტის" წინააღმდეგ და გაიმარჯვა — 4:1. მანჩესტერელთაგან გოლები გაიტანეს ბელმა, ტიუერტმა და დენიელსმა (2). ამ მოგებამ მათს გუნდს ლიდერობა დაუბრუნა.

„ლივერპულმა" თავის მინდორზე უაღრესად მწვავე ბრძოლაში ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" ქულა დაკარგა — 1:1. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ „ლივერპულმა" ეს ქულა კი არ დაკარგა, მოიპოვა, ვინაიდან ლონდონელებმა ანგარიში გახსნეს და ლივერპულელმა სმითმა ძლივს მოახერხა ანგარიშის გათანაბრება.

ტურის ცენტრალურ შეხვედრად ჟურნალისტებმა აღიარეს „დერბი ქაუნთისა" და „იფსვიჩ თაუნის" მატჩი, რომელიც „დერბი ქაუნთიმ" მოუგო ყოფილ ლიდერს — 2:0.

„კოვენტრი სიტიმ" შინ აჯობა ლონდონის „არსენალს" — 3:0. ამ შეხვედრაში მასპინძელთა მეკარემ გლეზერმა შესამჩნევად ითამაშა გუნდის შემადგენლობაში და საიუბილეო შეხვედრაში, როგორც ხედავთ, არც ერთი გოლი არ გაუშვია.

ჩემპიონმა „ლიდს იუნაიტედმა" სტუმრად მოუგო „კარლაილ იუნაიტედს" (2:1) და XXI, ბოლოსწინა (!) ადგილიდან XVIII ადგილზე გადაინაცვლა. ჩემპიონმა 18 შეხვედრაში მხოლოდ 14 ქულა მოაგროვა.

აი, დანარჩენი შედეგებიც: „ბერნლი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 4:1, „მიდლსბრო" — „ქუინზ პარკ რეინჯერსი" 1:3, „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „ბირმინგემ სიტი" 0:0, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" — „სტოკ სიტი" 2:2.

რამდენიმე შეხვედრა უამინდობის გამო არ შედგა.

ლიდერთა ხუთეული ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ სიტი" | 19 | 25:23 | 24 |
| „ლივერპული" | 18 | 24:13 | 23 |
| „იფსვიჩ თაუნი" | 19 | 25:14 | 22 |
| „დერბი ქაუნთი" | 18 | 30:24 | 22 |
| „ევერტონი" | 18 | 23:18 | 22 |

II ლიგაში ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" სტუმრად წააგო „ჰალ სიტისთან" (0:2) და ახლა 4 ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეს.

### შოტლანდია

შაბათს გამართული მორიგი ტური დრამატული გამოდგა. გათამაშების ლიდერმა — „გლაზგო რეინჯერსმა" შინ წააგო ედინბურგის „ჰიბერნიენთან" — 0:1. გოლი გაიტანა სტუმართა ცენტრფორვარდმა ჰარპერმა. „გლაზგო რეინჯერსს" მიმდინარე სეზონში პირველი წაგება ლიდერობის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — გლაზგოს „სელტიკმა" სტუმრად ფრედ (1:1) ითამაშა „ჰარტ ოვ მიდლოტიენთან" და ლიდერობა იგდო ხელთ.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 13 | 36:11 | 23 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 13 | 35:11 | 22 |
| „ჰიბერნიენი" | 12 | 27:13 | 18 |

### გფრ

შაბათს გათამაშების ლიდერმა — ოფენბახის „კიკერსმა" თავის სტადიონზე ფრედ (3:3) ითამაშა „დუისბურგთან". „ჰამბურგერ შპორტფერაინმა" შინ ქულა დაკარგა ბრაუნშვაიგის „აინტრახტთან" — 0:0. დასავლეთ ბერლინის „ჰერტამ" ასევე შინ აჯობა „კაიზერსლაუტერნს" — 2:1. ბერლინელთა ორივე გოლი მიულერმა გაიტანა. მიუნხენში კი ჩემპიონმა — ადგილობრივმა „ბაიერნმა" ესენის „როტვაისთან" წაგებას ძლივს დააღწია თავი და აქაც მასპინძელთაგან ორივე გოლი გ. მიულერმა გაიტანა — 2:2.

ვუპერტალში მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ანგარიშით 5:1 სძლია ადგილობრივ „ვუპერტალერ შპორტფერაინს". მეხუთე ბურთი მასპინძელთა კარში სტუმართა თავდამსხმელმა, შვედმა სიმონსონმა გაიტანა და ახლა იგი გაიესთან (დიუსელდორფის „ფორტუნა") ერთად 9 გოლით ლიდერობს სნაიპერთა სიას. 8-8 გოლით მათ შეტოქეობას უწევენ გ. მიულერი („ბაიერნი") და ჰაინკესი („ბორუსია").

ლიდერები:

| | | | |
|---|---|---|---|
| „კიკერსი" | 14 | 34:22 | 20 |
| „აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი) | 14 | 24:14 | 19 |
| „ჰერტა" | 14 | 24:14 | 19 |
| „ჰამბურგერ შპორტფ." | 14 | 22:13 | 18 |
| „დუისბურგი" | 14 | 30:25 | 18 |

### ესპანეთი

გუშინწინ გათამაშების ლიდერი — მადრიდის „რეალი" სტუმრად შეხვდა „გრანადას". პირველი ტაიმი სტუმრების უპირატესობით წარიმართა. ანგარიში ტაიმის მიწურულს 3:1 იყო მადრიდელთა სასარგებლოდ, მაგრამ შესვენებამდე მასპინძლებმა შეძლეს მეორე გოლის გაქვითვა — 2:3. შესვენების შემდეგ „გრანადას" შეტევები კიდევ ერთი გოლით დაგვირგვინდა — 3:3.

სენსაციური შედეგით დამთავრდა შეხვედრა ბარსელონაში ადგილობრივ გუნდებს — „ესპანიოლსა" და „ბარსელონას" შორის. თამაშის პირველი ნახევარი „ესპანიოლმა" მოიგო — 3:1. გოლები გაიტანეს ხოსე მარიამ, მარიოლინმა, ამიანომ „ესპანიოლის" მხრიდან და მიგელიმ — „ბარსელონიდან". შესვენების შემდეგ ამიანომ მეორედ აიღო ჩემპიონის კარი, რასაც ხოსე კარლოსმა კიდევ ერთი გოლით უპასუხა. მატჩის მიწურულს „ესპანიოლის" თავდამსხმელმა მარანიონმა ამ შეხვედრის ბოლო ბურთი გაიტანა — 5:2.

მადრიდში ადგილობრივმა „ატლეტიკო" ანგარიშით 2:0 სძლია ხიხონის „სპორტინგს" (გოლები გაიტანეს სალსედომ და არგენტინელმა აიალამ). მეორე ნახევარში სტუმართა გარემარბმა ჩურუკამ ერთი გოლი გაქვითა. თამაშის მიწურულს მადრიდელთა რიგებში მოთამაშე კიდევ ერთმა არგენტინელმა — მცველმა ერედიამ თავის საჯარიმო მოედანზე კინი მოცელა და დაზარალებულმა პენალტით ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 9 | 21:11 | 15 |
| „ესპანიოლი" | 9 | 16:12 | 13 |
| „ბარსელონა" | 9 | 24:16 | 12 |
| „გრანადა" | 9 | 12:6 | 11 |
| „სპორტინგი" | 9 | 14:12 | 10 |

### ჰოლანდია

თასის მფლობელმა და ლიდერმა — „ფშვ ეინდჰოვენმა" ველზენში ქულა დაკარგა ადგილობრივ „ტელსტართან" — 2:2. ამსტერდამის „აიაქსმა" შინ აჯობა ბოლო ადგილზე მყოფ „ჰაარლემს" — 4:0. ჩემპიონმა „ფეიენოორდმა" და „სპარტამ" თავიანთ მშობლიურ როტერდამში თითო ქულა „დაირიგეს" — 0:0. I ლიგის დებიუტანტმა „ვაგენინგენმა" შინ სძლია ენსხედეს „ტვენტეს" — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფშვ ეინდჰოვენი" | 11 | 26:11 | 20 |
| „აიაქსი" | 11 | 31:8 | 19 |
| „ფეიენოორდი" | 11 | 35:10 | 18 |
| „ტვენტე" | 11 | 10:9 | 14 |

### ბელგია

მოლენბეკის „რასინგ ვაიტმა" თავის სტადიონზე აჯობა I ლიგის დებიუტანტ „ლოკერენს" — 3:1. „ბერხემ სპორტმა" ასევე შინ სძლია ჩემპიონს — ბრიუსელის „ანდერლეხტს" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რასინგ ვაიტი" | 14 | 32:11 | 22 |
| „ანდერლეხტი" | 14 | 28:7 | 20 |
| „ს. ბრიუჟი" | 14 | 18:15 | 18 |

### საბერძნეთი

ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — პირეის „ოლიმპიაკოსმა" შინ აჯობა „იგალეოს" — 2:0. ათენის „პანათინაიკოსმა" თავის სტადიონზე მოუგო „კასტორიას" (3:2), ხოლო ათენის აეკ-მა ვოლოსში სძლია ადგილობრივ „ოლიმპიაკოსს" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიაკოსი" (პირეი) | 6 | 15:3 | 18 |
| „ეთნიკოსი" | 6 | 13:3 | 17 |
| აეკ-ი | 6 | 10:1 | 16 |
| „პანათინაიკოსი" | 6 | 13:6 | 16 |

### იუგოსლავია

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — სპლიტის „ჰაიდუკმა" XV ტურის ცენტრალურ შეხვედრაში საკუთარ მინდორზე მოუგო ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰაიდუკი" | 15 | 29:13 | 23 |
| „ცრვენა ზვეზდა" | 15 | 28:16 | 20 |
| „ვოივოდინა" (ნოვი სადი) | 15 | 25:15 | 19 |

### პოლონეთი

ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ხოჟუვის „რუხმა" შინ დაამარცხა (6:0) I ლიგის დებიუტანტი — გდინიის არკა და ლიდერის პოზიცია განიმტკიცა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რუხი" | 12 | 31:7 | 21 |
| „სტალი" (მელეცი) | 13 | 17:10 | 18 |
| „ლეხი" (პოზნანი) | 13 | 16:16 | 16 |

### ჩეხოსლოვაკია

13 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლოვანი" (ბრატისლ.) | 13 | 35:16 | 16 |
| „კოშიცე" | 13 | 35:21 | 15 |
| „ბანიკი" (ოსტრავა) | 13 | 17:12 | 15 |

### უნგრეთი

„დოჟა უიპეშტმა" საკუთარ მინდორზე სძლია „დიოშდიერს" (2:0), ხოლო ბუდაპეშტის „ჰონვედმა" სეკეშფეჰერვარში ქულა დაკარგა ადგილობრივ „ვიდეოტონთან" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დოჟა უიპეშტი" | 13 | 39:13 | 24 |
| „ჰონვედი" | 13 | 28:9 | 20 |
| „ფერენცვაროში" | 13 | 22:12 | 16 |

(საქ. ინფ.).

## როგორ გამოიყურებიან მეტოქეები?

როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთელთა მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ირლანდიელებთან ერთად შვეიცარიისა და თურქეთის გუნდები არიან.

პორტუგალიელებთან საკონტროლო მატჩში, რომელიც შვეიცარიელებმა ბერნში მოიგეს ანგარიშით 3:0, გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბურგენერი, ვალენტინი, გუიო, ბიცინი, ბოტერონი, შილდი, ჰასლერი, შნეებერგერი, პფისტერი (რისი), ქანდუპო, მიულერი (რუჩმანი). გოლები გაიტანეს ქანდუპომ (მე-8 წუთზე), პფისტერმა (43) და შილდმა (65).

თურქეთის ნაკრებმა სტამბულში წააგო მატჩი ავსტრიელებთან — 0:1. მასპინძლები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: იასინი, ალფასლანი, ისმაილი, ზიია, ზექერია, სელჩუკი, მეტინი, ენგინი, ოსმანი, ჯემილი, მეჰმეტი.

## შიონის ახალი ნაკრები

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გფრ-ის ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდა და მწვრთნელს შიონს პრაქტიკულად ყველა რგოლის განახლება მოუხდა. უწინ გათავისუფლებულ ფეხბურთელებს კიდევ ორი დაემატა: 13 დეკემბრამდე დისკვალიფიცირებული ბონჰოფი (ეროვნულ ჩემპიონატში უხეშობის გამო). ამას გარდა, შიონმა აღარ მოუხმო ჰერცოგს, რომელიც ფორმაში არ არის.

ახლა მსოფლიოს ჩემპიონი — გფრ-ის ნაკრები ასე გამოიყურება: მეკარეები — მაიერი, ნიგბური, კარგიესი; დაცვა — ბეკენბაუერი, კულმანი, შვარცენბეკი, ფოგტსი, ჰ. კრემერსი, დიცი; ნახევარდაცვა — ჰიონესი, ფლოჰე, კაპელმანი, ვიმერი, კობელი; თავდასხმა — გაიე, ჰელდი, ჰაინკესი, ზეელი, ჰოლცენბაინი, პიროუნგი.

## სკობლარი ფეხბურთს გამოეთხოვა

ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი სკობლარი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე მარსელის „ოლიმპიკში" თამაშობდა, ამიერიდან აღარ გამოვა მწვანე მინდორზე. 33 წლის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა სულაც არ ჰგავდა „პენსიონერს" და ბოლომდე ჩინებულად თამაშობდა.

ბევრი მიმომხილველის აზრით, სკობლარის ასეთი გადაწყვეტილება განაპირობა იმან, რომ „ოლიმპიკმა" იყიდა ბრაზილიელი ჟაირზინიო, რის შემდეგაც გუნდში სამი უცხოელი აღმოჩნდა: პაულო ცეზარი, ჟაირზინიო და სკობლარი. არსებული წესების თანახმად, საფრანგეთის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში მხოლოდ ორ მათგანს შეეძლო მონაწილეობის მიღება.

„ოლიმპიკმა" სკობლარს მოუწყო გამოსათხოვარი მატჩი, რომელსაც 25 ათასი მაყურებელი ესწრებოდა (მათ შორის იყო მარსელის მერი დეფერი). ეს შეხვედრა მადრიდის „რეალთან" ფრედ დამთავრდა — 1:1.

## 2:0

უჟგოროდი, 24 ნოემბერი. აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის იუნიორთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0.

## გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის მე-2 გვერდზე გამოქვეყნებული მასალის — „სტატისტიკის მოყვარულთათვის" — მეორე აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: შოტლანდია — ესპანეთი. 1:2. გამერე, როგორც ტექსტშია.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ტაიმი აუტსაიდერმა მოიგო
# ქულები გაიყვეს
# ზედიზედ ორი გამარჯვება

გაიმართა მორიგი ტურის რამდენიმე შეხვედრა.

სვერდლოვსკი. სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ მეორე მატჩიც მოუგო ადგილობრივ „ურალმაშს", ამჯერად ანგარიშით 116:95. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ტაიმის შემდეგ წინ მასპინძლები იყვნენ — 57:56.

ვილნიუსი. დაძაბული გამოდგა ადგილობრივი „სტატიბას" და ტარტუს „კალევის" ორივე მატჩი. პირველში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო — 90:84 (44:40), ხოლო მეორეში სტუმრებმა გაიმარჯვეს — 84:79 (51:43).

კაუნასი. ადგილობრივმა „ჟალგირისმა" ორივეჯერ სძლია მინსკის რტი-ს — 90:88 (51:46) და 89:71 (42:32).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ნოემბრისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 7 | 1 | 704—589 | 7 |
| ცსკა | 6 | 2 | 772—657 | 6 |
| „დინამო" (მ.) | 5 | 1 | 525—442 | 5 |
| „დინამო" (თბ.) | 5 | 1 | 531—508 | 5 |
| „კალევი" | 3 | 3 | 500—492 | 3 |
| „ჟალგირისი" | 3 | 3 | 485—490 | 3 |
| „სტროიტელი" | 2 | 2 | 355—340 | 2 |
| „სტატიბა" | 2 | 4 | 479—516 | 2 |
| რტი | 1 | 7 | 642—726 | 1 |
| „ურალმაში" | 0 | 10 | 765—998 | 0 |

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ლენინგრადის „სპარტაკისა" და კიევის „სტროიტელის" შეხვედრის მომენტი. ბურთს აგდებს ახალგაზრდა სპარტაკელი მ. სილანტიევი (სიმაღლე — 214 სმ).

ნ. ნაუმენკოვის ფოტო (საკდესი).



# ლიდერების გასაჭირი

ბაქო, 24 ნოემბერი. დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის I ტურის მატჩები. გუშინ და დღეს გაიმართა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა, რომელთაც საბოლოო სიცხადე შეიტანა გათამაშების ცხრილში.

სსრ კავშირის ჩემპიონმა — ლენინგრადის „სპარტაკმა" კიევის დინამოელებთან გამარჯვების (79:64) შემდეგ კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა. მაგრამ ბოლო დღეს სენსაცია მოხდა: ჩემპიონი დამარცხდა მოსკოვის ოლქის თანაკლუბელებთან — 62:75 (28:43).

მეორე სენსაცია ტურნირის დებიუტანტს — ტაშკენტის ფისკ-ს ეკუთვნის. ტაშკენტელებმა ფარ-ხმალი დააყრევინეს საპრიზო ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტს — კიევის „დინამოს" — 55:50 (23:32).

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) 79:70, ფისკ — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 59:52, „უნივერსიტეტი" — „ბურევესტნიკი" 64:57 (32:32).

### გათამაშების ცხრილი

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) | 4 | 1 | 375—328 | 4 |
| „სპარტაკი" (ლ.) | 4 | 1 | 368—313 | 4 |
| ფისკ | 3 | 2 | 280—288 | 3 |
| „დინამო" | 2 | 3 | 328—338 | 2 |
| „უნივერსიტეტი" | 2 | 3 | 309—327 | 2 |
| „ბურევესტნიკი" | 0 | 5 | 285—351 | 0 |

ვილნიუსი, 24 ნოემბერი. ბოლოსწინა ტურში ერთპიროვნული ლიდერი — რიგის ტტტ რის ვაი-ვაგლახით გადაურჩა წაგებას. მოსკოვის დინამოელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ფავორიტს და შეხვედრა მხოლოდ ქულით დათმეს — 60:61 (26:31). რიგელთა შორის საუკეთესო სნაიპერი კალაც ტ. სემაიონსკაია იყო — 35 ქულა.

დამაჯერებლად გაიმარჯვეს ტურნირის მასპინძლებმა. არავინ იფიქრებდა, თუ „კიბირკშტისი" საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს — სვერდლოვსკის „ურალმაშს" მოუგებდა და ისიც 18 ქულით — 72:54 (43:32).

ფრუნზეს „სტროიტელმა" დნეპროპეტროვსკის „სტალი" დაამარცხა — 67:58 (37:26).

სატურნირო ცხრილში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ტტტ | 4 | 0 | 305—193 | 4 |
| „კიბირკშტისი" | 3 | 1 | 266—281 | 3 |
| „დინამო" | 2 | 2 | 270—250 | 2 |
| „ურალმაში" | 2 | 2 | 264—237 | 2 |
| „სტროიტელი" | 1 | 3 | 213—271 | 1 |
| „სტალი" | 0 | 4 | 213—299 | 0 |

# [illegible]-74

● ბუქარესტი, 22 ნოემბერი. ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირში — „კარპატის თასის" გათამაშებაში სსრ კავშირის ნაკრებმა იუგოსლავიის გუნდს მოუგო (17:13) და II ადგილზე გადაინაცვლა. ჯერჯერობით ლიდერობს რუმინეთის ნაკრები, რომელმაც ამ ტურში მწვავე ბრძოლის შემდეგ გდრ-ის გუნდს აჯობა — 13:12.

● სტოკჰოლმი, 23 ნოემბერი. შვეციის დედაქალაქში დიდ ინტერესს იწვევს ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი — „მსოფლიოს თასი". I ტურში სსრ კავშირის ნაკრები დამარცხდა პოლონეთის ეროვნულ გუნდთან — 16:24. გდრ-ის კოლექტივმა სძლია შვედებს — 18:15. II ტურში საბჭოთა გუნდმა მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს, რუმინეთის ნაკრებს აჯობა — 18:17. პოლონელებმა ამჯერად უნგრელებს სძლიეს (16:11) და 4 ქულით პირველ ქვეჯგუფში ლიდერობა იგდეს ხელთ. კვლავ გაიმარჯვა გდრ-ის ნაკრებმა, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის ხელბურთელებს მოუგო — 18:12. იუგოსლავიის გუნდმა ანგარიშით 18:15 დაამარცხა შვეციის ნაკრები.

● ვენეცია, 23 ნოემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ერთი ტურიღა დარჩა სათამაშო. ლიდერობას განაგრძობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოველი დიდოსტატი ვ. სმისლოვი — 8,5 ქულა. II ადგილზეა კანადელი დიდოსტატი დ. სათლზი, რომელიც ლიდერს 0,5 ქულით ჩამორჩება. XII ტურში სმისლოვი ჯ. ტარიანს (აშშ) დაუზავდა, ხოლო ტურნირის მეორე საბჭოთა მონაწილემ, ხარკოველმა დიდოსტატმა ვ. სავონმა იტალიელ კ. მიკელისთან მოაწერა ხელი ზავს.

● ალმა-ათა, 24 ნოემბერი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შეიარაღებული ძალების ნაკრები და „სპარტაკი". ანგარიშით 16:15 გაიმარჯვეს შეიარაღებული ძალების მოკრივეებმა. გადამწყვეტი მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა: ანგარიში ხუთჯერ გათანაბრდა. ყველაფერი გადაწყვიტა მძიმეწონოსნების ორთაბრძოლამ: ევროპის ჩემპიონმა, როსტოველმა არმიელმა ვ. ულიანიჩმა სძლია ერევნელ მ. ვარდანიანს. ერევნელმა ჩემპიონს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ტრავმის გამო იძულებული იყო ბრძოლა შეეწყვიტა.

● ტაშკენტი, 24 ნოემბერი. მესტენდურეთა აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში მოსკოვის წარმომადგენლებმა ორი ბროლის თასი მოიპოვეს: მათ გაიმარჯვეს ადგილიდან და მრგვალ სტენდზე შეჯიბრებათა გუნდურ ჩათვლაში. პირად პირველობაში მრგვალ სტენდზე ყველას აჯობა მოსკოველმა ბ. ბულბამ — 198 ქულა 200-დან. მისმა თანაგუნდელმა ა. ალიევმა II ადგილი დაიკავა — 196 ქულა. მესამე პრიზიორია ლენინგრადელი ი. ბერეზნიუკი (195 ქულა), რომელმაც დამატებითს სერიაში აჯობა თბილისელ ტ. ძღენტს. ადგილიდან სროლაში გაიმარჯვა კიეველმა ა. კლეკოვმა — 195 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მოსკოველი ო. კულაკოვი (193) და ლენინგრადელი ვ. ვინიკოვი (189). მესტენდურეთა წლევანდელმა ბოლო შეჯიბრებამ 12 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 63 სპორტსმენს მოუყარა თავი.

● ბაქო, 24 ნოემბერი. დღეს აქ დამთავრებულ საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში უძლიერესთა წოდება უკრაინის ბადმინტონისტებმა შეინარჩუნეს. მათს გამარჯვებაში ეჭვი თავიდანვე არავის ეპარებოდა. გუნდის ექვსი მოთამაშიდან ხუთი (ირინა შევჩენკო, ნინა კოსიაკი, კ. ვავილოვი, ვ. შვაჩკო, ნ. პეშეხონოვი) ორი დღის წინათ დამთავრებული საკავშირო პირადი ჩემპიონატის პრიზიორია. ოქროს ჯილდოებისკენ მიმავალ გზაზე უკრაინის ნაკრებმა დამაჯერებლად, ერთნაირი ანგარიშით (6:0) სძლია ყველა მეტოქეს. ბელორუსიის გუნდთან ფინალურ მატჩში უკრაინის წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთი პარტია დათმეს. III ადგილზეა რსფსრ-ს ნაკრები.

# ორი „რეკორდი"

ამ დღეებში „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში ორი „რეკორდი" აღინიშნა. კოლექტივმა მეშვიდედ მოიპოვა I ადგილი და საკავშირო სპორტკომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა ზონალური სამმართველოების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში III კვარტალის შედეგებისთვის. სარეკორდოა, აგრეთვე, „ხუთოსნების" რიცხვი ერთ, 31-ე ტირაჟში — 28 კაცი.

„სპორტლოტოს" ტირაჟში მოგება ხვდა ხობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორს მ. მირცხულავას, რომელსაც ორჯერ გაუღიმა ბედმა წლეულს, მან ჯერ მე-20 ტირაჟში გამოიცნო 5 სახეობა და 1616 მანეთი მიიღო, ახლა ისევ ხუთი ნომერი გადახაზა სწორად და 2019 მანეთი მოგება ხვდა.

ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ამწყობი საამქროს ნორმირების ბიუროს უფროსმა პ. ბოკერიამ „სპორტლოტო-2"-ის ხუთი ბილეთიდან ერთ-ერთზე ხუთი ნომერი გამოიცნო და ასევე 2019 მანეთი მიიღო.

დანარჩენი 25 „ხუთოსნიდან" ოცდახუთივემ „სპორტლოტო-2"-ის ტირაჟში მოიპოვა გამარჯვება. ესეც სარეკორდო ციფრია. განსაკუთრებით გაუღიმათ ბედმა სპორტული ლატარიის იმ მოყვარულებს, რომლებიც ოჯახებით თამაშობდნენ. 833 მანეთი მოიგო თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალ ა. გელაშვილის ოჯახმა. ასეთივე თანხა ხვდათ რუსთავში მცხოვრებ კამბაროვებს, რომელთა ოჯახის ყველა წევრმაც ლატარიის თითო ბარათი შეავსო. ამავე ტირაჟში მოიგეს თბილისელებმა ლ. გუმბერიძემ, დ. სვანიძემ, უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა პ. მიგდისაშვილმა, ო. ჯანაშვილმა, ზუგდიდის მცხოვრებმა ო. იაკოვენკომ.

30-ე ტირაჟში მოგება ხვდა ხელვაჩაურის რაიონის განთიადის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე გ. კომახიძეს, რომელსაც კარგი სწავლისთვის მშობლებმა „სპორტლოტო-2"-ის შვიდი ბილეთი უყიდეს. ეს ბილეთები მან თვითონ შეავსო და ერთზე ხუთი ნომერი გამოიცნო, მეორეზე — სამი. სულ მოგებამ 3967 მანეთი შეადგინა.

ენგურჰესის მუშამ რ. ყოლბაიამ გადაწყვიტა ბილეთები თავის დისშვილთან — ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე რ. წურწუმიასთან ერთად შეევსო. შედეგი — 3964 მანეთი მოგება.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტმა ც. ჩხეიძემ ბილეთების შევსებაში თავისი ვაჟი — რკინიგზის 1-ლი სკოლის IX კლასის მოსწავლე გოგი დაიხმარა. დედამ და შვილმა 3964 მანეთი მიიღეს.

თბილისელ ელექტრომონტიორ ა. შამინს და რუსთაველ ავტომექანიკოს ც. მჭედლიშვილს არავინ დახმარებიათ, მაგრამ ერთმა 3964 მანეთი მოიგო, მეორემ — 2925.

წინ არის ახალი ტირაჟები, ახალი მოგებები.

ბ. გამილაღდიშვილი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

# მორიგი ტირაჟის შედეგები

შეჯამდა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 32-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო". ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2303 მანეთია (194 ბილეთი), ოთხისთვის — 53 (9655), სამისთვის — 3 მანეთი (170526).

„სპორტლოტო-2". ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1962 მანეთია (71 ბილეთი), ოთხისთვის — 39 (4329), სამისთვის — 3 მანეთი (51965).

მოგებული თანხა გაიცემა შემნახველ სალაროებში 1-დან 30 დეკემბრის ჩათვლით. (საკდესი).

# აკრობატის სამმაგი მალაყი

ტოლიატი, 25 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მფრინავ-კოსმონავტის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის ვ. ვოლკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ III საერთაშორისო მემორიალში სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის 73 უძლიერესი აკრობატი მონაწილეობდა.

კვლავ თავი გამოიჩინეს ტოლიატელმა სპორტსმენებმა. მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. მასლობოიშჩიკოვამ გაიმარჯვა ხტომაში — 37,75 ქულა დააგროვა. თ. დუბროვინას, ლ. გულიაევას და ტ. საბლინას ტოლი არ ჰყავდათ ჯგუფურ ვარჯიშში (38,28 ქულა).

შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ჩებოქსარელებმა მ. და ს. ტიმოფეევებმა. მათ 38,06 ქულა აქვთ.

ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს კიეველებმა ვ. ზიცმა და ნ. ტიშჩენკომ (37,79). ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში თავი გამოიჩინა კრასნოდარელთა კვარტეტმა — ლ. პესოკმა, ი. და ვ. მოტრენკოებმა, ა. ჯიჯავაძემ (38,25). ვაჟთა აკრობატულ ხტომაში პირველობა გაიყვეს ა. ტიმოფეევმა (სტავროპოლი) და ი. ზიკუნოვმა (ომსკი) — 37,88-37,88 ქულა.

საერთაშორისო შეჯიბრებებში სამმაგი მალაყი პირველად გააკეთა მინსკელმა ვ. ბინდლერმა.

ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს ვოლგოგრადელებმა ვ. ალიმანოვმა და ვ. ნაზაროვმა (38,62).

# „აუცილებლად მიიღებს გამოწვევას"

ამერიკელი ჟურნალისტი ბრედ დარაჩი მსოფლიოს ჩემპიონ რობერტ ფიშერის პირველი ბიოგრაფიის ავტორია. მას ახლო ურთიერთობა აქვს დიდოსტატთან და იმასაც კი ამბობს, რომ ამჟამად ფიშერის საქმეებში მასზე უფრო გარკვეული არავინ არის.

ახლა, როცა ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ამერიკელი მოჭადრაკე გაისად არ შეხვდება კარპოვს, დარაჩი სულ სხვა აზრისაა. „მე ვამტკიცებ, რომ ფიშერი აუცილებლად მიიღებს გამოწვევას", — განაცხადა დარაჩმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53. ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.